ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 2022 №242 (9020) ფასი: 80 თეთრი

ვინ არის პოლონეთში დაკავებული ქართველი მძღოლი, რომლის მანქანაშიც 23 სირიელი ლტოლვილი აღმოჩნდა

გვ.4

„ივანიშვილი სააკაშვილის მიმართ გადაწყვეტილებას რუსეთის გარეშე ვერ იღებს“





გვ.2

ნიკა მელია: „მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება – ან სააკაშვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნების სასარგებლოდ, ან სასიკვდილო განაჩენის გამოტანა“

ლელა ჯეჯელავა: „საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს, რომ ეს ადამიანი არ გახდეს პუტინის და ივანიშვილის შურისძიების მსხვერპლი“

„სააკაშვილი უკვე გაჭრილი კარტია, ის „ქართული ოცნებისთვის“ არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს“



ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულმა ოცნებამ“ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, ის ამომრჩეველს არ დაკარგავს... ჯობს, სანამ გვიან არ არის და ცუდი რამე მოხდება, გადაწყვეტილება მიიღონ“

გვ.3

გვ.4

გერმანია უკრაინას ტანკებს მიაწვდის?

რუსეთის წინააღმდეგ ტრიბუნალის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს

გვ.6

საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორი რუსების სამსახურში

ქერიმ ხანმა უკრაინაში სამხედრო დანაშაულის გამო სპეციალური ტრიბუნალის შექმნის იდეა დაგმო

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩემი ნათქვამი არასწორად იქნა გაგებული“

გვ.3

პრემიერ-მინისტრი სამების საკათედრო ტაძარში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსვენებული თერთმეტი პირის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო

გვ.2

1993230720223

4 ნინო ლომჯარია: „გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება“

5 ნინო გოგაშვილი: „5 თვეა, ეს სისტემა საშუალებას არ გვაძლევს, მშვიდად ვიცხოვროთ“

4 ლევან ბეჭაშვილი: „მზად ვართ, რადიკალურ მოქმედებებზეც გადავიდეთ“

6 ომი უკვე რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა

„ივანიშვილი სააკაშვილის მიმართ გადაწყვეტილებას რუსეთის გარეშე ვერ იღებს“

ლელა ჯეჯელავა: „საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს, რომ ეს ადამიანი არ გახდეს პუტინის და ივანიშვილის შურისძიების მსხვერპლი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლების განცხადებები სულ უფრო მეტ დაპირისპირებას იწვევს საზოგადოებაში. რა უნდა „ქართულ ოცნებას“? რის მიღწევას ცდილობენ ასეთი რიტორიკით თუ ქმედებებით?

– მიზანი არის ერთადერთი, ძალაუფლების შენარჩუნება. ძალაუფლების შენარჩუნება კი ემსახურება მხოლოდ მათი პირადი კეთილდღეობის შენარჩუნებას. სხვა მიზნები და ამოცანები ამ ხელისუფლებას არა აქვს. ამიტომ ოპონენტების წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო გაძლიერდება მათი ზეწოლა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ არათუ პოლიტიკურ ოპონენტებზე, მათ შეტევა მიიტანეს ჩვენთვის ყველაზე ფასეულ ღირებულებებსა და მათ შორის იმაზე, რაც არის ადამიანის ხსოვნა. მით უმეტეს, ქვეყნის თავისუფლებისათვის გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნა. ეს უკვე აღარ არის არც პოლიტიკური დაპირისპირება, ეს აღარ არის არც ოპონენტებზე პრესინგი, ეს არის ზღვარს გაცდენილი უზნეობა, რომელსაც ხელისუფლება იყენებს იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს.

– სანამ სერიოზულად არ გაბრაზდა საზოგადოება, სამძიმარიც გაუჭირდათ.

– მე აქამდე კიდევ მქონდა იმედი, რომ ბიძინა ივანიშვილი პრაგმატული ადამიანი იყო და, შესაბამისად, გარკვეულ პრაგმატულ გათვლებს აკეთებდა ძალაუფლების შესანარჩუნებლად თუ რა ნაბიჯები გამოადგებოდა. მისთვის არ იყო ცხადი, როგორ განვითარდებოდა უკრაინაში მოვლენები, როგორ პოზიციას დაიკავებდა თანამედროვე მსოფლიო. ბევრი საკითხი იყო, რომლის შემოწმების შემდეგ მას უნდა მიეღო გადაწყვეტილებები. როგორც ჩანს, ამ ადამიანს არანაირი პრაგმატული გათვლები არა აქვს. უბრალოდ, აქვს ძალიან დიდი ვალდებულებები და ამ ვალდებულებებს ის თავს ვერასოდეს დააღწევს. უკვე ცხადად იკითხება, რომ ვერ დააღწევს. აბა სხვა შემთხვევაში რანაირად შეიძლება, ადამიანმა შეურაცხყო, რაც ყველაზე წმინდა გააჩნია შენ ქვეყანას?! გარდაცვლილი ადამიანი! გარდაცვლილი მეომარი! ასეთ დროს, მოსისხლე მტრებიც კი ახერ-

ხებდნენ საქართველოში ერთმანეთისთვის სამძიმრის თქმას და მტრობის შეწყვეტას. ამათ ესეც ვერ შეძლეს.

– როდემდე შეიძლება, რომ გაგრძელდეს ასე? უკვე ყველა მათი ქმედება თუ განცხადება, საზოგადოებაში დაპირისპირებას იწვევს.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებასა და მის მხარდამჭერებს შორის, რომლებიც მაინცდამაინც დიდ რაოდენობას არ წარმოადგენენ, არის უზარმაზარი უფსკრული გაჩენილი და ამ უფსკრულის რამენაირად ამოვსება არის უკვე შეუძლებელი. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი, რომელიც რეალურად არსებობს, კი არ განიმუხტოს, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდეს. ბოლოს და ბოლოს, ყველა ლოგიკით, ყველა გათვლით, ისტორიული გამოცდილებით, თუ რამე გაგვიგია და გვსმენია პოლიტიკური პროცესების შესახებ, ეს ხელისუფლება, დღეს თუ ხვალ, ეს არის დროის მომენტი, არის გამზადებული წასასვლელად. ახლა მათზეა დამოკიდებული, წასვლის რა ფორმას აირჩევენ. წავლენ ადამიანურად, ისე, რომ ქვეყანას კიდევ უფრო მეტად არ დააზარალებენ, თუ მათი წასვლა იქნება როგორც მათთვის, ისე ქვეყნისთვის ძალიან სერიოზული ზიანის მომტანი.

– იმდენად სუსტი ოპოზიცია გვყავს, რომ ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, „ოცნება“ არა თუ წავა, არამედ 2024-ში უფრო გაძლიერებული სახით მოგვევლინებაო.

– ორი დღე არ არის, რაც ირანიდან დავბრუნდი. ირანში აქამდე არნახული საპროტესტო აქციები მიმდინარეობს და პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ საერთოდ არ ჰყავს ამ საპროტესტო აქციებს არანაირი პოლიტიკური ლიდერები. ეს არის თვით ორგანიზებული, საზოგადოების დამოკიდებულება იმ პროცესების მიმართ და იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც მათთვის მიუღებელია. ასე რომ, ტყუილად ნუ ექნებათ იმედი, რომ პოლიტიკური ოპოზიცია არის აუცილებელი იმისთვის, რომ ქვეყანაში დაიწყოს პოლიტიკური პროცესი. ამის გაკეთებას შეძლებს კონსოლიდირებული საზოგადოება.

– საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე იმასაც ფიქრობს, რომ ეს ოპოზიციაც ამ ხელისუფლების საქმეს აკეთებს.

– ჩვენ ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ და იმდენად სასოწარკვეთილი დამოკიდებულებები აქვთ ადამიანებს, რომ ყველაფერი შეიძლება მოიფიქრონ. მათგან ზოგი რამ მართალი იქნება, ზოგი რამ არ იქნება. თუმცა, ის რომ ოპოზიცია ამჟამად ვერ ასრულებს თავის ფუნქციასა და დანიშნულებას, ამაში ორი აზრი არ არის! საკამათოც არ არის. ამიტომ არსად, არასდროს ვაკუუმი არ რჩება, ეს ფიზიკის კანონია. თუკი ოპოზიცია ვერ ახერხებს ამას, საზოგადოება მოახერხებს! ეს არის ორჯერ ორი ოთხი! მე რომ ჩამოვედი საქართველოში და სამძიმართან დაკავშირებით ასეთი მოვლენები დამხვდა განვითარებული, თქვა სამძიმარი და თანაც ასეთი უგერგილო, მე მივხვდი, რომ დღეს ჩვენ ვართ ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც ჰქვია სიჩუმე ქარიშხლის წინ!

– ქალბატონო ლელა, ასევე დიდი ამბებია სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ვისმენთ შეფასებებს, რომ ის ძალიან მძიმედ არის. ხვალისთვის სასამართლო პროცესია ჩანიშნული. რა მოლოდინი გაქვთ? ბევრი ფიქრობს, რომ არაფრის დიდებით არ გაუშვებს ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის. რას იტყვით თქვენ?

– მე ივანიშვილისაგან შევწყვიტე მოლოდინი ადეკვატურ გადაწყვეტილებებზე. მსგავსი რამ ბოლო პერიოდის განმავლობაში მე არ მინახავს. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი დამოუკიდებლადაც ვერ მიიღებს გადაწყვეტილებებს სააკაშვილთან დაკავშირებით.

– რატომ? ვისზეა დამოკიდებული?

– მას აქვს ვალდებულებები რუსეთთან. დადასტურებული ფაქტია, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლა ივანიშვილმა და მისმა ხელისუფლებამ შეიტყო რუსეთისგან. ამის შემდეგ როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები სააკაშვილთან დაკავშირებით, ალბათ, ამაზე გზავნილსაც რუსეთისგან ელოდებიან. რუსეთს კი ჯერ იმდენად არ უჭირს, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღოს. მით უმეტეს, სააკაშვილის გარეთ ყოფნა, თუნდაც პოლიტიკიდან დისტანცირებული და თუნდაც საქართველოდან შორს მყოფის, რუსეთისათვის იგივე უკრაინაში სააკაშვილის ყოფნა, არაფრით არ არის მისაღები. ამიტომ, მე მგონია, რომ ივანიშვილი დამოუკიდებლად ამაზედაც ვერ მიიღებს გადაწყვეტილებებს. ჩვენ ახლა ვართ რუსეთის გუბერნია და რუსის „ნამესტნიკი“ გვმართავს ჩვენ! მითხარით ბოლო რომელიმე გადაწყვეტილება, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მიიღო და ის იყო ქართული სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი?! მე ასეთი არაფერი მახსენდება! ახლა სწორედ ამ ყველაფრის გადასაფარავად სჭირდებათ ეს უდღეური სლოგანი, რომ ჩვენ მშვიდობა გაჩუქეთ! რომ მშვიდობა ვითომ მათი მონაპოვარია საქართველოში! ამ გაჭირვებაში მყოფ ხალხს, ახლა იმასაც ამადლიან, რომ თავზე ბომბები არ აცვივათ. ყველამ გადასარევად იცის, რომ საქართველოს თავზე ახლა ბომბები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ ცვივა, რომ ეს ბომბები უკრაინაში ცვივა!

– იქნებ ვერ მიიღონ თანხმობა რუსეთიდან და კლავენ სააკაშვილს ციხეში?

– საქმე ისაა, მე არ გამიკვირდება, რომ მათ სააკაშვილის მკვლელობის გადაწყვეტილება მიიღონ. იმიტომ, რომ ხელისუფლება და ადამიანი, რომელმაც მოკლა სახელმწიფო, რატომ იტყვის უარს ამ სახელმწიფოს ერთ-ერთი შემქმნელის მკვლელობაზე?! სულაც არ არის გამორიცხული. სამწუხაროა, მაგრამ მაქვს არასაიმედო პროგნოზები ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. თუმცა საზოგადოებამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით. საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს, რომ ეს ადამიანი არ გახდეს პუტინის და ივანიშვილის შურისძიების მსხვერპლი. ეს უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა, რომ გვერქვას ცივილიზებული ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება, რომლის ადგილიც არის სამყაროს ცივილიზებულ ნაწილში!

პრემიერ-მინისტრი სამების საკათედრო ტაძარში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსვენებული თერთმეტი პირის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამების საკათედრო ტაძარში, მთავრობის წევრებთან ერთად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსვენებული თერთმეტი პირის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

მთავრობის მეთაურმა დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო და ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა.

– პირველ რიგში, მე მინდა ვთქვა, რომ უკვე წლებია ჩვენ წითელ ჯვართან ერთად ვახორციელებთ ჩვენი გმირების გადმოსვენებას საქართველოში, ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მოგეხსენებათ, რომ მანამ, სანამ ჩვენ აღვადგენთ კონტროლს აფხაზეთსა და ცხინვალში, მანამდე ჩვენ გვჭირდება ჩვენი პარტნიორების ჩართულობა. წითელ ჯვარს ამ კუთხით აქვს ძალიან, მე ვიტყოდი, ფასდაუდებელი როლი და მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროცესში. ჩვენ 11 ჩვენი გმირის ნეშტი დავუბრუნეთ მათ ოჯახებს, მათ ოჯახის წევრებს და კიდევ ერთხელ მინდა ჩემი სამძიმარი ვუთხრა მათ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან, გადმოასვენეს 1990-იან წლებში, აფხაზეთში, შეიარაღებული მოქმედებების დროს დაღუპული სამი სამოქალაქო პირის – გიორგი ჯოხაძის, ოთარ თუთისანის, იური მაჭარაშვილის და რვა მებრძოლის – ოთარ გაგუას, რევაზ კვარაცხელიას, ვახტანგ ხოჯანაშვილის, ბიძინა უშხვანის, ზვიად უშხვანის, ბორის ბერულავას, სპირიდონ (ფრიდონ) თირქიას და ხვიჩა დეკანოსიძის ნეშტები.

„მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება – ან სააკაშვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნების სასარგებლოდ, ან სასიკვდილო განაჩენის გამოტანა“

– შევედით კულმინაციურ ფაზაში, როდესაც მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება – ან მიხეილ სააკაშვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნების სასარგებლოდ, ან მორალურად და ზნეობრივად სასიკვდილო განაჩენის გამოტანა უნდა შეძლოს ხელისუფლების დავალებით, – აცხადებს ენმ-ის თავმჯდომარე ნიკა მელია პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართული შეკრების შემდეგ.

მელიას თქმით, პარტიის ყველა წევრი თანხმდება, რომ ახლა პრიორიტეტია მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობა და მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება:

– ჩვენთვის ახლაც, კვლავ რჩება მთავარ საზრუნავ საკითხად, რაც დღემდე გადაუჭრელია – მოხერხდეს მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა საზღვარგარეთ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. ვფიქრობ, ბოლო დღეებში არაერთი კომენტარი მოვისმინეთ, რომ მკურნალობის რესურსი ამოწურულია და რაიმე სახის დადებითი დინამიკის შექმნაც კი შეუძლებელია, არათუ მისი შენარჩუნება. ამიტომ გამოსავალი კვლავაც რჩება მიხეილ სააკაშვილის რაც შეიძლება სწრაფად, საზღვარგარეთ გადაყვანა. შევედით კულმინაციურ ფაზაში, როდესაც მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება – ან მიხეილ სააკაშვილისთვის სიცოცხლის შენარჩუნების სასარგებლოდ, ან მორალურად და ზნეობრივად სასიკვდილო განაჩენის გამოტანა უნდა შეძლოს ხელისუფლების დავალებით. „ნაციონალური მოძრაობის“ მთელი ძალისხმევა მიმართული იქნება ამ სასამართლო პროცესებისკენ, – განაცხადა ნიკა მელიამ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, რომ თუ ხელისუფლება არაობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს და მიხეილ სააკაშვილს საზღვარგარეთ მკურნალობის საშუალებას არ მისცემს, პარტია მზადაა რადიკალურ მოქმედებებზეც გადავიდეს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – წურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი უკვე გაჭრილი კარტია, ის „ქართული ოცნებისთვის“ არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულმა ოცნებამ“ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, ის ამომრჩეველს არ დაკარგავს... ჯობს, სანამ გვიან არ არის და ცუდი რამე მოხდება, გადაწყვეტილება მიიღონ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ლევან ბეჟაშვილი აცხადებს, თუ ხელისუფლება სააკაშვილთან დაკავშირებით გონივრულ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ყველანაირი რადიკალური სცენარისთვის მზად ვართ. ამბობენ, პარლამენტის დატოვების საკითხსაც განიხილავენ. შეიძლება დატოვონ?

– ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნო პერიოდშია და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ორივე ფრთა ცდილობდეს, რაც შეიძლება რადიკალური იყოს სწორედ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, რადგან მშვენივრად იციან, რომ ამ პარტიას დღემდე სააკაშვილის რეიტინგი აცოცხლებს. ამიტომ, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ორივე ფრთამ პარლამენტი მართლაც დატოვოს და რადიკალური ლოზუნგებით ქუჩაში გავიდეს. ისინი კი გავლენ ბარიკადებზე, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ სერიოზული საპროტესტო ტალღის აგორება შეძლონ. არც საზოგადოება არ არის მზად სერიოზული ქუჩის აქციებისთვის და არც სერიოზული დრო არის შერჩეული.

– 9 დეკემბერს დაგეგმილ აქციაზე, ფიქრობთ, ხალხის დიდი რაოდენობა არ მივა?

– არა, დიდი რაოდენობა, რასაც მასების პროტესტი ჰქვია, ნამდვილად არ არის მოსალოდნელი, ხალხი ამისთვის მზად არ არის. ეს მუხტი დღეს არ იგრძნობა და წარმოუდგენელია ორ დღეში გაჩნდეს.

– ნაცმოძრაობა სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. ალბათ, დიდი გამოსაცნობი არ არის, რომ მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას. როგორ ფიქრობთ, რა სიგნალი შეიძლება მიიღოს „ქართული ოცნებისგან“?

– დიახ, მართლაც, რბილად რომ ვთქვათ, მით უფრო ამ საქმეზე, მოსამართლე ვერ მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას და ის ამ მესიჯს დაელოდება. რაც შეეხება თუ რა გზავნილს გაუგზავნის ხელისუფლება სასამართლოს, ამაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ. რამდენიმე ფაქტორი იქნება გასათვალისწინებელი ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ განვითარებული. ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილი მართლაც გადაიყვანონ საზღვარგარეთ სამკურნალოდ. არ გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკური პროცესი სწორედ აქეთკენ მიდიოდეს.

– რა ფაქტორი შეიძლება ხელისუფლებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს?



– ფაქტების ერთობლიობა, ასე ვიტყოდი. პირველ რიგში, დასავლეთის ღია განცხადებები. ამერიკელი სენატორების ძალიან მწვავე გამოსვლები. ორი დღის წინ უკრაინის საელჩოს წარმომადგენლის ასევე ძალიან ღია და მწვავე განცხადება, რომელიც ეხებოდა საქართველოს ხელისუფლებისადმი თხოვნას გენერატორებთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, ივანიშვილის დასანქცირების საკითხის კიდევ ერთხელ გააქტიურება. ეს ყველაფერი ახლა ძალიან მძიმე ტვირთია ხელისუფლებისთვის.

– ამიტომ ეცდება, სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანით დააბალანსოს?

– დიახ, სწორედ ამის თქმა მინდოდა. ამდენი კრიტიკა უკვე ყველა მხრიდან, თან ქვეყნის შიგნითაც პოლიტიკური პროცესი თუ წავა ისე, როგორც ნაციონალები იმუქრებიან და პარლამენტს დატოვებენ, მაშინ, ძალიან გაუჭირდება ხელისუფლებას. ამიტომ, აუცილებელი იქნება რაღაცით დაბალანსება. სააკაშვილის საკითხის მოგვარება კი საუკეთესო გამოსავალი იქნება. მით უფრო, როდესაც სააკაშვილი უკვე გაჭრილი კარტია. ის „ქართული ოცნებისთვის“ არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. წარმოუდგენელია, ამ ყველაფრის შემდეგ სააკაშვილის ოპოზიციის ლიდერად კურთხევა.

ამიტომ, ცხადია, ბევრად უკეთესი იქნება, ახლავე, სანამ გვიან არ არის და ცუდი რამე მოხდება, გადაწყვეტილება მიიღონ. თუმცა, სრულიად არ გამოვრიცხავ, რომ სარფიანი გარიგება იყოს.

სახალხო დამცველთან არსებული ექიმთა კონსილიუმის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ წონის მკვეთრი კლება აქვს და საკვების მიღება უჭირს. ამიტომ, ორი-სამი თვე აქვს ხელისუფლებას, რომ გადაწყვეტილება მიიღოს. თუ დაინახავს, რომ საფრთხე ბევრად უფრო სერიოზულია და დრო ვერ ითმენს, უფრო ადრე მიიღებს ამ გადაწყვეტილებას და გადაიყვანს.

– თქვენ ამბობთ, სიტუაციას მკაცრად გააკონტროლებს, რომ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს?

– რა თქმა უნდა, ფატალურ შედეგს, დარწმუნებული ვარ, არ დაუშვებენ, რადგან ეს მართლაც უკვე ძალიან ცუდი და გამოუსწორებელი იქნება, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ.

– როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველზე ეს გადაწყვეტილება რა გავლენას მოახდენს?

– „ქართულმა ოცნებამ“ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, ის ამომრჩეველს არ დაკარგავს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩემი ნათქვამი არასწორად იქნა გაგებული“

– მე მინდა გარდაცვლილი ხოფერიას ოჯახს კიდევ ერთხელ სამძიმარი ვუთხრა და ყველას მინდა გთხოვოთ, ძალიან გთხოვთ ყველას, რომ ჩვენი გარდაცვლილი მოქალაქეების ტრაგედიასა და უბედურებაზე ნუ შევქმნით პოლიტიკურ დღის წესრიგს. კიდევ ერთხელ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები და ღმერთმა გვაშოროს ეს უბედურება და ტრაგედია. მე ვარ საქართველოს მხარეზე. მე ვარ ჩემი ქვეყნის ინტერესების დამცველი და ასე იქნება მანამ, სანამ ვიქნები ცოცხალი. ეს უნდა იყოს ყველა ჩვენი მოქალაქის ვალდებულება. ეს უნდა იყოს ჩვენი ყველა მოქალაქის სურვილი. უნდა ვიფიქროთ ქვეყანაზე, საქართველოზე. მე ვარ სამართლიანობის მხარეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ტერიტორიულ მთლიანობას და, ბუნებრივია, ჩვენი სურვილია, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ადამიანის გარდაცვალების თემით სპეკულირება არის ყოვლად ამორალური უზნეობა და ფარისევლობა.

– ჩემი ნათქვამი იქნა გაგებული არასწორად და ეს თქვენი დამსახურებაა, ინტერპრეტირება არასწორად მოახდინეთ, თითქოს მე ყველა იმ ადამიანზე, რომელიც დღეს უკრაინაში ომობს, თითქოს მე მათ ვუწოდე ნაციონალური მოძრაობის წევრები, ეს დიდი სიცრუეა, ამას ავრცელებდით თქვენ ყველანი.

ბოლო ორი დღეა, მე მინდა, საზოგადოებას განვუმარტო და მათ შორის ყველას, ვინც შესაძლოა უსმენდა ამ არასწორ ინტერპრეტაციებს ჩემი ნათქვამის, მგონი ყველამ ძალიან კარგად გაიგო და კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო ჩემი ნათქვამი. პირველ რიგში, მინდა, კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო გულწრფელად, ჩემი გულის ტკივილი გამოვთქვა და მივუსამძიმრო უკრაინის ომში ყველა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს. ესაა ტრაგედია, ესაა დიდი დანაკლისი და ჩვენ ყველანი ამას განვიცდით, მე ვთქვი, რომ სახელმწიფოს რაც შეუძლია ყველაფერს აკეთებს ამ ადამიანების ღირსეულად გადმოსასვენებლად და შემდეგ სამხედრო პატივით ყველა ეს ადამიანი მიებარა მიწას, – განუცხადა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ არიან ადამიანები, ყოფილი სამხედროები, პოლიციელები, შეიძლება უბრალოდ მოქალაქეები, რომლებიც თავისი მრწამსით, სულისკვეთებით, იდეალისტური დამოკიდებულებებით წავიდნენ და ომობენ, ეს მათი გადაწყვეტილებაა და არიან ადამიანები, კონკრეტული გვარებით, სახელებით, რომლებიც არიან პირდაპირ დაკავშირებულნი ნაციონალურ მოძრაობასთან და სააკაშვილთან.

– ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ კონკრეტული გვარები იქნა დასახელებული ამ ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა მედიასაშუალების მეშვეობით, არიან ადამიანები, კონკრეტული გვარებით, სახელებით, რომლებიც არიან პირდაპირ დაკავშირებულნი ნაციონალურ მოძრაობასთან და სააკაშვილთან. მე სიმართლეს, ფაქტს გეუბნებით. არიან ადამიანები, ყოფილი სამხედროები, პოლიციელები, შეიძლება უბრალოდ მოქალაქეები, რომლებიც თავისი მრწამსით, სულისკვეთებით, ამ იდეალისტური დამოკიდებულებებით წავიდნენ და ომობენ, ეს მათი გადაწყვეტილებაა.

მე მათზე, რა თქმა უნდა, არ მითქვამს, რომ ყველა ეს ადამიანი არის წაყვანილი თუ ორგანიზებული ნაცმოძრაობის და ომის პარტიის მიერ, მე ვთქვი შემდეგი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – არის კატეგორია რამდენიმე ადამიანი, თუ შეიძლება ათეული იყოს, დიახაც, ვიმეორებ კიდევ ერთხელ, სააკაშვილის ომის პარტიის, იმ პარტიის, ვინც ჩვენი ტერიტორიები დაკარგა და ჩააბარა რუს ოკუპანტს და ომის შემდეგ გადასცა მერე სტრატეგიული ობიექტები, მათ მიერ წაყვანილი და ორგანიზებული. ამის მტკიცებულებებია. მე ვთქვი, რომ ეს ადამიანები არიან ასოცირებულნი პირდაპირ, ზოგიერთი მათგანი არის დღესაც მოქმედი პარტიის წევრი, – აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მამუკა მამულაშვილი სააკაშვილის დიდი მხარდამჭერია, მისი და კი ნაცმოძრაობიდან პარლამენტის წევრი იყო.

– მამულაშვილი, რომელიც არის სააკაშვილის ძალიან დიდი მხარდამჭერი, რომელიც არის ქართული ლეგიონის წევრი, მისი და იყო ნაცმოძრაობიდან პარლამენტი წევრი, ეს ადამიანი ერთვება საერთაშორისო ორგანიზაციებს, ამბობს, რომ იქ ომობს და ა.შ. ჯერ მე ასე მესმის, რომ თუ ადამიანი ომობ, და მინდა მივმართო მამულაშვილს და მისნაირებს, პოლიტიკურად ანგაჟირებულებს, ღმერთმა მოგცეს საშუალება, იომე, მაგრამ ეს პარტიული ჩართვები და, მით უმეტეს, რამდენიმე ადამიანის პოლიტიკური განცხადებები მოვისმინე და პოლიტიკური განცხადება ომის ფრონტიდან, მე არ ვიცი, რა არის საერთოდ, რა სტილია.

მე პატივისცემაზე არ გეუბნებით. მე გეუბნებით, რომ ეს არის ფაქტი, ფაქტებს გეუბნებით. მე რაც ვთქვი, რომ ომის პარტიის წევრები არიან და მათ მიერ არის ორგანიზებული. რამდენიმე ადამიანი, არ ვიცი ახლა რამდენია, ალბათ არის ამის თაობაზე ინფორმაცია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც თავისი შეგნებით და მრწამსით წავიდნენ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ დაღუპული სამხედროების მისამართით გამოყენებული ტერმინი „საწყალი“ მისი გულწრფელი ემოცია იყო, რომელიც გარდაცვლილი ადამიანის შესახებ ნებისმიერს შეიძლება გაუჩნდეს და ამის გამო კრიტიკა გაუგებარია.

– ყველა ჩვენს მოქალაქეს, რომლებიც უკრაინაში ომობენ, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, ვუსურვო ჯანმრთელობა და მშვიდად დაბრუნება თავის ოჯახებში, ჩვენთან, საქართველოში. ეს არის ჩვენი მთავარი გულწრფელი სურვილი, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

კითხვაზე, რას ფიქრობს პატიმარ სააკაშვილის მდგომარეობის შესახებ, პრემიერი პასუხობს:

– მე მინდა სააკაშვილს, როგორც ადამიანს, გულწრფელად ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა. როგორ შეიძლება ადამიანის გარდაცვალება ვინმეს უხაროდეს?! სახელმწიფო აკეთებს და გააკეთებს ყველაფერს, რომ ყველა პატიმრის კონსტიტუციური უფლება იქნას დაცული.

ღარიბაშვილმა სააკაშვილს, როგორც ადამიანს, გულწრფელად უსურვა დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

– მე არ მინდა დეტალებში შევიდე, მე არც ექიმი ვარ და არ ვიცი, ამ ადამიანს რა ჭირს, გარდა იმისა, რაც თქვენ მოისმინეთ.

– ერთი ის ვიცი, რომ ამ ადამიანმა გადაწყვიტა ჩამოსულიყო აქ და რევოლუცია, სისხლისღვრა მოეწყო, ციხეში ჩასმის დღიდან ემუქრებოდა ყველას, რომ თქვენ არ იცით აქ რამდენიმე ხანში, უკრაინის ომი არ იყო დაწყებული ჯერ, სისხლისღვრა დაიწყება, აქ უბედურება მოხდება და მსგავს მუქარებს აგრძელებდა ბატონი სააკაშვილი. შემდეგ იცით, რომ 60 დღე იშიმშილა და ყველა რეკორდი მოხსნა მსოფლიო ისტორიაში, შიმშილობის ყველა ისტორია მოხსნა და ვნახეთ ისიც, კადრებიც გავრცელდა, რომ თურმე ის ჭამდა კიდევაც, ფარულად იღებდა საკვებს, – აცხადებს პრემიერი.

მთავრობის მეთაურის თქმით, მან ბევრჯერ მოისმინა იმის თაობაზე, რომ თურმე სააკაშვილს არ მოსწონს გარემო და დეპრესიაშია.

– მე ძალიან ბევრჯერ მოვისმინე, რომ ბატონი სააკაშვილი თურმე დეპრესიაშია და არ მოსწონს გარემო. რომელ პატიმარს მოსწონს ციხის გარემო? არ ვიცი, მე არ ვარ ექიმი. ბატონი რატი ბრეგაძე გამოვიდა და გაუკეთა საჯარო შეთავაზება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი კლინიკიდან ჩამოიყვანონ ნებისმიერი ექიმი და ადგილზე უმკურნალონ. მათ არ უნდათ საქართველოში უმკურნალონ ერთადერთი მიზნით, მათ უნდათ სააკაშვილის გათავისუფლება. ეს არის, სხვა არაფერი, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, უკრაინის ფოსტის მონაცემების მიხედვით, საქართველო იყო 190 ქვეყანას შორის პირველ ადგილზე, ვინც ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა უკრაინას და ეს დახმარება გაგრძელდება.

– რაც შეეხება სხვა დამატებით დახმარებას, ჰუმანიტარულ დახმარებას, ჩვენ კიდევ ერთხელ განვიხილავთ, დახმარების საშუალებებს გამოვნახავთ და, რა თქმა უნდა, ამ დახმარებას გავაგრძელებთ. რაც შეეხება სამხედრო დახმარებას, ჩვენ ამის თაობაზე ნათლად, ცხადად, მკაფიოდ ვთქვით, რომ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, ჩვენ ამ ომში, კონფლიქტში, როგორც სახელმწიფო, არასოდეს ჩავერთვებით, ეს არის ჩვენი მკაფიო პოზიცია. დანარჩენი რაც შეეხება, ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, რომ მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, ჩვენი გუნდი, მმართველი გუნდი ვართ პასუხისმგებელნი ჩვენი ხალხის წინაშე, თქვენ წინაშე მათ შორის, – აღნიშნა პრემიერმა.

მანქანას, რომელშიც ცოლ-ქმარი იჯდა, მატარებელი დაეჯახა

გურჯაანში მსუბუქ ავტომობილს სატვირთო მატარებელი დაეჯახა, დაშავებულია ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.

შემთხვევა სოფელ ჭანდართან გუშინ საღამოს, იმ დროს მოხდა, როცა ავტომანქანა ლიანდაგზე გადასვლას ცდილობდა. მანქანაში მყოფი, 35 წლამდე ასაკის ცოლ-ქმარი, გურჯაანის ჯეო ჰოსპიტალსში გადაიყვანეს.

ჯეო ჰოსპიტალსის დირექტორის გელა ორველაშვილის განმარტებით, დაშავებული მამაკაცის მდგომარეობა მძიმეა.

– შემოიყვანეს ორი დაშავებული, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ქალს ჰქონდა ხელის მოტეხილობა, ჩაუტარდა ამბულატორიული მკურნალობა და გავწერეთ. რაც შეეხება მამაკაცს, მისი მდგომარეობა მძიმეა. ჩაუტარდა მრავლობითი ოპერაციები და ამ დროისთვის რეანიმაციაში იმყოფება, – განაცხადა ორველაშვილმა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

გერმანია უკრაინას ტანკებს მიაწვდის?

რუსეთის წინააღმდეგ ტრიბუნალის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს

მარიამ მჭედლიშვილი

კრემლის პროპაგანდის თანახმად, ევროპაში დაწყებულია მოსახლეობის მღელვარება. ევროპელები უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გაუარესებულ მდგომარეობას აპროტესტებენ. იგივე პროპაგანდა ირწმუნება, რომ ევროპაში ანტიუკრაინული განწყობები და რუსეთთან თანამშრომლობის აღდგენის სურვილი შეინიშნება. ევროპაში, სინამდვილეში, სხვა რეალობაა.

რა ხდება გერმანიაში, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში რუსეთსა და მის ენერგომატარებლებზე იყო მიბმული? როგორია დამოკიდებულება უკრაინის მიმართ? ამაზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს უკრაინის ელჩი გერმანიის ფედერაციაში **ალექსეი მაკეევი.**

– გერმანიის ბუნდესტაგის მიერ გოლოდომორის (1932-33 წლებში) აღიარება უკრაინელი ხალხის გენოციდად ისტორიული მოვლენაა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში გერმანიის პოლიტიკუმში ბევრი რამ შეიცვალა უკრაინისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. კიდევ რა „გარღვევებს“ უნდა ველოდოთ?

– ბუნდესტაგის ყველა დემოკრატიულმა ფრაქციამ კენჭისყრისას მხარი დაუჭირა რეზოლუციას გოლოდომორის თაობაზე, რაც ბუნდესტაგში იშვიათად ხდება. მომავალი გადაწყვეტილებების ანონსირებას არ შევუდგები. მიდის მუშაობა რუსეთის აგრესიის გამო ტრიბუნალის შექმნის საკითხზე.

დარწმუნებული ვარ, რომ გერმანია აუცილებლად მიემხრობა ასეთი ტრიბუნალის ჩამოყალიბებას. წინა კვირას, გერმანიაში გამართულ დიდი შვიდეულის იუსტიციის მინისტრების შეხვედრაზე მკაფიოდ გაცხადდა, რომ რუსეთი პასუხისგებაში უნდა მიეცეს უკრაინაში ჩადენილი დანაშაულებისათვის.

– გერმანია უკრაინისათვის შეიარაღების ერთ-ერთი მსხვილი მომწოდებელია, თუმცა, ტანკების მოწოდების საკითხზე ბერლინი მუდმივად იმეორებს, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს მოკავშირეებთან. ისაუბრეთ თუ არა ამაზე თავდაცვის მინისტრ ქრისტინე ლამბრეხტთან, როცა მას შეხვდით? გეგმავთ თუ არა სამხედრო-სამრეწველო საწარმოების მონახულებას?

– ჩემი შეხვედრების შინაარსს ვერ მოგიყვებით. შევთანხმდით, რომ საჯაროდ ვიტყვით იმას, რისი თქმაც შეიძლება. გერმანია გვაწვდის საკმარისად ბევრ ტექნიკას და ამის გაგრძელებას მომავალშიც აპირებს.

– ახლახან თქვენ მაინც გამოთქვით აზრი, რომ გერმანიის ხელისუფლება დათანხმდება გადმოგვცეს შეტევითი შეიარაღება. მაგალითად, ლეოპარდისა და მარდერის ტანკები. არის საფუძველი გვქონდეს იმედი, გერმანელები ამ ბარიერს გადალახავენ?

– ეს ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია. ეს არის ჩვენი ელჩების მიზნები სხვა

სახელმწიფოებშიც.

პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი (უკრაინის) მუდმივად ლაპარაკობენ იმაზე, რომ გვჭირდება სერიოზული დაჯავშნილი ტექნიკა. ეს აუცილებელია სამხედრო წარმატებების გასამაგრებლად ფრონტზე და ჩვენი ტერიტორიის საბოლოოდ გათავისუფლებისთვის. ეს გზავნილი მისულია პასუხისმგებელ პირებამდე გერმანიის მთავრობასა და ბუნდესტაგში. არ მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ ვიღაც გერმანიაში გამორიცხავს ასეთი შეიარაღების გამოგზავნის შესაძლებლობას.

– ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახმარება ენერგეტიკის სფეროში ზამთრის პერიოდში იმ ფონზე, როცა რუსეთი ახორციელებს ტერორისტულ ქმედებებს ქვეყნის ინფრასტრუქტურის დასანგრევად. გერმანიის დახმარება როგორია?

– გერმანია ძალიან აქტიურად ჩაერთო ქვეყნის შიგნით და ევროპულ დონეზეც ჩვენთვის გენერატორების, ტრანსფორმატორებისა და ყველა იმ საშუალების მოწოდების პროცესში, რაც საჭიროა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აღსადგენად.

წელს გერმანიიდან მივიღეთ სხვადასხვა სიმძლავრის 2 400 გენერატორი. გერმანიის კანცლერისა და პრეზიდენტ ზელენსკის ამასწინანდელი საუბრისას გაცხადდა, რომ გამოიყოფა 56 მილიონი ევრო და გენერატორები.

კიზინგერი: „უკრაინაში მებრძოლი არც ერთი ქართველი „მოტყუებული“ არ არის, ისინი გმირები არიან“

უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის განცხადებას ყოფილი კონგრესმენი ადამ კინზინგერი სოციალურ ქსელში ეხმიანება.

– ქართული ლეგიონის არც ერთი მებრძოლი და უკრაინაში მებრძოლი არც ერთი ქართველი „მოტყუებული“ არ არის, ისინი გმირები არიან.

რამდენად მცირეა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატივისცემა საკუთარი ხალხის მიმართ, რომ იფიქროს, თითქოს ხალხმა სიმართლე არ იცის.

ასევე, რაც შეეხება რუსეთს? – წერს კინზინგერი „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე და საკუთარ განცხადებას თან ურთავს ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარს, რომელიც მან 5 დეკემბერს გააკეთა.

ნინო ლომჯარია: „გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება“

სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება – ომბუდსმენმა სააპელაციო განაჩენის შესწავლა დაასრულა და დასკვნას ასაჯაროებს.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი – ადამიანის უფლებების შეზღუდვა არაკონვენციური/პოლიტიკური მოტივით.

ომბუდსმენის აღნიშნულ შეფასებას საფუძვლად დაედო არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებები, არამედ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები ნიკა გვარამიას მისამართით და ქვეყანაში არსებული მედია გარემოს ანალიზი.

– საქართველოს სახალხო დამცველმა დაასრულა ნიკა გვარამიას სააპელაციო განაჩენის შესწავლა და მიაჩნია, რომ ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი (ადამიანის უფლებების შეზღუდვა არაკონვენციური/პოლიტიკური მოტივით). აღნიშნულ შეფასებას საფუძვლად დაედო არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების და საქმის მასალების შესწავლა, არამედ, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები ნიკა გვარამიას მისამართით (პატიმრობამდე და პატიმრობის შემდგომ), ასევე ქვეყანაში არსებული მედია გარემოს ანალიზი.

სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი სააპელაციო განაჩენი არ არის დასაბუთებული, წარმოადგენს კორპორატიული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევას და საქმეში არსებული პოლიტიკური მოტივი გადაწონის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს.

ნიკა გვარამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 220-ე მუხლის ორ (ე.წ. რეკლამის და მანქანის) ეპიზოდში, სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით.

ე.წ. რეკლამების ეპიზოდთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით ჯერ კიდევ 2019 წელს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას ბრალდების მსგავსი სამეწარმეო გადაწყვეტილება ვერ გამოიწვევს არათუ სისხლისსამართლებრივ, არამედ კორპორატიულ პასუხისმგებლობასაც კი. რაც შეეხება, ე.წ. მანქანის ეპიზოდს, სახალხო დამცველმა 2022 წლის 8 ივნისს გამოაქვეყნა საქმის შემოწმების შედეგები და მიუთითა, რომ ამ ნაწილშიც არ დასტურდებოდა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები და ასევე საკვანძო ფაქტობრივი გარემოებები სათანადო დასაბუთებული შეფასების გარეშე რჩებოდა. გარდა ამისა, დაუსაბუთებლად შევაფასეთ ასევე, პირველი ინსტანციის განაჩენით შეფარდებული სასჯელი. მართლმსაჯულების არსებითი ხარვეზებით განხორციელების გამო, სახალხო დამცველმა საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების მიზნით მიმართა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ნიკა გვარამიას სასჯელი არაჯეროვანი დასაბუთებით დამძიმდა და 50 000-ლარიანი ჯარიმა შეიცვალა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთით. დანარჩენ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი პირველი ინსტანციის განაჩენის მსგავსად არ შეიცავდა დასაბუთებს ძირითად და საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო ყველა ჩვენი შენიშვნა და შეფასება კვლავ აქტუალურია.

გამომდინარე იქიდან, რომ დაცვის მხარე აპელირებდა კონვენციის მე-18 მუხლზე, საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმეში ეს საკითხიც შეისწავლა. პოლიტიკოსების განცხადებების, ქვეყანაში არსებული მედია გარემოს, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების შეფასებების გათვალისწინებითა და იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ მართლმსაჯულება არსებითი ხარვეზებით განხორციელდა, ხოლო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ნიკა გვარამიას მიმართ იქნა გამოყენებული, ნათლად ადასტურებს, რომ საქმეში არსებულ კანონიერ მიზანს პოლიტიკური მიზანი გადაწონის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ფონზე, რომ ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს არ შეესაბამება და აქვს დასაბუთებულობის პრობლემა. სახალხო დამცველის აღნიშნული შეფასება ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომებს.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კიდევ ერთხელ მივმართავთ და მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული შეწყალების მექანიზმი ნიკა გვარამიასთან მიმართებით.

შევახსენებთ საზოგადოებას, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მეორედ ხდება ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევად ქმედების შეფასება. პირველი ასეთი შემთხვევა იყო ე.წ. კარტოგრაფების საქმე, – ნათქვამია ომბუდსმენის დასკვნაში.

ლევან ბეჟაშვილი: „მზად ვართ, რადიკალურ მოქმედებებზეც გადავიდეთ“

ენმ-ში შეკრება დასრულდა. როგორც ჟურნალისტებთან გაკეთებულ განცხადებაში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, თუ ხელისუფლებას არ ეყოფა პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს, ყველანაირი სცენარისთვის მზად არიან, მათ შორის, რადიკალურ ქმედებებზე გადასვლისთვისაც, თუმცა ბეჟაშვილს არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობს

– თუ ხელისუფლებას არ ეყოფა პასუხისმგებლობა, რომ მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მზად ვართ, რადიკალურ მოქმედებებზეც გადავიდეთ. თუმცა, ეს არ არის ჩვენი თვითმიზანი.

რადიკალურ მოქმედებებში შედის ყველა ის კანონიერი საშუალება, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციით და კანონმდებლობით, – აღნიშნა ბეჟაშვილმა.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში უპრეცედენტო დანაკარგებია. დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 2.929;
ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები – 211;
თვითმფრინავები – 281;
ვერტმფრენები – 264,
ფრთოსანი რაკეტები – 592,
გემები – 16.
განადგურებულია 92.200 ოკუპანტი.

ასეთია უკრაინის გენშტაბის მონაცემები. თანახმად ამერიკელთა ცნობისა, განადგურებულია 94.700 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ვინ არის პოლონეთში დაკავებული ქართველი მძღოლი, რომლის მანქანაშიც 23 სირიელი ლტოლვილი აღმოჩნდა

პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

პოლონური მედიის ინფორმაციით, ინციდენტი ერთ-ერთ სასაზღვრო პუნქტთან მოხდა, როდესაც ზაკოპანეში სასაზღვრო დაცვის თანამშრომლებმა ავტობუსის მძღოლს, შემოწმების მიზნით გაჩერება მოსთხოვეს, თუმცა მძღოლი არ დაემორჩილა და სიჩქარის მომატების შედეგად პოლიციის მანქანას დაეჯახა. არავინ დაშავებულა, თუმცა შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ავტობუსში, რომელსაც ქართველი მძღოლი მართავდა, 23 სირიელი ლტოლვილი იმყოფებოდა.

დაკავებული უცხოელები ზაკოპანეში სასაზღვრო დაცვის პუნქტში გადაიყვანეს. ისინი პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, მათ უკანონოდ გადაკვეთეს საზღვარი სლოვაკეთიდან პოლონეთამდე.

სირიელ ლტოლვილებთან ერთად დააკავეს საქართველოს 32 წლის მოქალაქეც, ვინაიდან ადგილობრივი სამართალდამცველების თქმით, სირიელ ლტოლვილებს საზღვრის უკანონო გადაკვეთის ორგანიზებაში, სავარაუდოდ, სწორედ ის დაეხმარა.

23 დაკავებული უცხოელიდან პასპორტი 22 მათგანს არ აღმოაჩნდა. დადგინდა, რომ არალეგალები შენგენის ზონაში ფეხით ჩავიდნენ სერბეთიდან, შემდეგ უნგრეთის და სლოვაკეთის გავლით მანქანით პოლონეთში, სადაც ისინი 6 დეკემბერს დააკავეს.

სქემა, რომლითაც 3 ქართველი ესპანეთში ბინებს ძარცვავდა

სარაგოსაში ბინების ძარცვის გამო, ქართველთა დაჯგუფების სამი წევრი დააკავეს – ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ეჭვმიტანილები სარაგოსას ერთ-ერთი გარეუბნის მცხოვრებლების დახმარებით დააკავეს.

მედიის ცნობით, კაცს საკუთარ სახლში ეძინა, როდესაც უცნაური ხმა გაიგო და პოლიციაში დარეკა. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა 3 ქართველი დააკავეს.

როგორც ესპანური მედია იტყობინება, ცნობილია სამივეს ვინაობა. დაკავებულები არიან 29, 32 და 35 წლის პირები. მათ ჩხრეკის შედეგად აღმოაჩნდათ კარის საკეტების გასაღებად საჭირო ხელსაწყოები და მანქანების გასაღებები.

– ძარცვის სქემა ძალიან მარტივია: ისინი ამაგრებენ წებოთი პატარა ძაფებს კარის ძირსა და ჩარჩოს შორის. ეს ძაფი მოთავსებულია ისე, რომ კარის გაღების შემთხვევაში წყდება. ისინი ბრუნდებიან მეორე დღეს და ამოწმებენ. თუ ძაფი ხელუხლებელია, ნიშნავს, რომ სახლში არავინაა. ამის შემდეგ ისინი იყენებენ ხელსაწყოს საკეტის გასაღებად, – ვკითხულობთ სტატიაში.

ესპანური მედიის ცნობით, ეს არის მეთოდი, რომელსაც დღეს ყველაზე ხშირად იყენებენ ქართული წარმოშობის ე.წ. ბანდები სახლების მოსანიშნად.

ნინო გოგაშვილი: „5 თვეა ეს სისტემა საშუალებას არ გვაძლევს, მშვიდად ვიცხოვროთ“

– ჩვენ ვნერვიულობთ მის უსაფრთხოებაზე, წინააღმდეგი ვიყავით, სასამართლო პროცესს დასწრებოდა, რადგან გადაადგილების პროცესში მის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას, – ამის შესახებ სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის შვილმა, ნინო გოგაშვილმა განაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესი დახურულია, სასამართლომ გოგაშვილის ოჯახის წევრებს მისი ნახვის უფლება რამდენიმე წუთით მისცა.

– სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება რატი ბრეგაძეს, თუკი გადაადგილების პროცესში რამე საფრთხე შეექმნება. 5 თვეა ჩვენი ოჯახი საფრთხის ქვეშაა, მამაჩემმა სხვადასხვა პრობლემასა და შეცდომებთან დაკავშირებით ისაუბრა, მას შემდეგ მამაჩემის და ჩემი ოჯახის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. 5 თვეა ეს სისტემა საშუალებას არ გვაძლევს, მშვიდად ვიცხოვროთ. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი დაკავებულია, მოქმედი ხელისუფლება საშუალებას არ გვაძლევს, ჩემმა 10 წლის ძმამ მშვიდად დაიძინოს და სტრესის ქვეშ არ იყოს. ძალიან მაინტერესებს, ეს ოჯახები როგორ არსებობენ, როცა ასეთ საშინელებებს უკეთებენ ჩემს ოჯახს, მათაც ჰყავთ დები, მშობლები და აუცილებლად უკან დაუბრუნდებათ სიბოროტეები, – განაცხადა გოგაშვილმა.

ცნობისთვის, სოსო გოგაშვილს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურება), 157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება და შენახვა); 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია), 157-ე მუხლის მე-4 ნაწილით (პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება მასობრივი მაუწყებლობის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა).

წარდგენილი ბრალდებები სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

გიორგი მშვენიერაძე: „მოწმემ დაადასტურა, რომ საქართველოს არც ერთ ეპიზოდში საკუთარი პოზიცია არ დაუთმია“

– მოწმემ დაადასტურა ისიც, რომ რასაც ნატალია ილიჩოვა და ივერი მელაშვილი აკეთებდნენ, ამ პოზიციას იზიარებს და ისიც ასე მოიქცეოდა, – ამის შესახებ საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებებში ბრალდებულ ივერი მელაშვილის ადვოკატმა, გიორგი მშვენიერაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, მოწმე გიორგი ხარალაშვილმა სასამართლოს მნიშვნელოვანი ჩვენება მისცა.

– მოწმემ აბსოლუტურად კარგი და მნიშვნელოვანი ჩვენება მისცა სასამართლოს და ყველა ნაწილში, დაწყებული 1995 წლიდან მიმდინარე პროცესებით დასრულებული, სრულად გაიმეორა მოცემულობა, რასაც დაცვის მხარე სასამართლოში ვამტკიცებთ. მან ისაუბრა, სახელმწიფოს მიერ პოზიციის ფორმირება როგორ ხდებოდა პირველ ეტაპზე, 1995 წლის მარტში, როცა ის ივერი მელაშვილთან ერთად კომისიის წევრი იყო, როგორ მოხდა ალბომების შედგენა. ალბომები შედგენილია იმ ლოგიკით, რომ საქართველოს უნდა მოეთხოვა ყველაფერი, რისი მოთხოვნის თეორიული შესაძლებლობაც არსებობდა, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა სამართლებრივი თუ კარტოგრაფიული საფუძვლები და შემდეგ, მოლაპარაკებების პროცესში, მინიმუმი, რომელზეც საქართველო შეიძლებოდა დასულიყო, იყო 1938 წლის საზღვრის ხაზზე ნაკლები.

მოწმემ დაადასტურა, რომ არც ერთ ეპიზოდში, არც ერთ მონაკვეთში საქართველოს საკუთარი პოზიცია არ დაუთმია, არ შეუცვლია პოზიცია არც ერთი ხელისუფლების პირობებში დავითგარეჯის მონასტრის კომპლექსის საქართველოს შემადგენლობაში მოქცევასთან დაკავშირებით, როცა მოწმე სახელმწიფო უწყებებში მუშაობდა. დაადასტურა ისიც, რომ რასაც აკეთებდა ნატალია ილიჩოვა და ივერი მელაშვილი, მათ შორის, კარტოგრაფიული მასალის გამოყენებისა თუ სამართლებრივ დოკუმენტთან დაყრდნობასთან დაკავშირებით, ისიც ზუსტად იზიარებს ამ პოზიციას და ისიც ასე მოიქცეოდა, – განაცხადა მშვენიერაძემ.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი – ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავითგარეჯთან მიმართებაში.

სახელმწიფო ბრალდების ცნობით, ბრალდებულები განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან გასული 2021 წლის 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20 000-20 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

კაცს მანქანა განზრახ დაეჯახა

პროკურატურის ცნობით, თელავის რაიონულმა სასამართლომ სოფელ კარდენახში, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო. სასამართლომ მას 11 წლის და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

– მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 9 მარტს, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში, ბრალდებულს და მის თანმხლებ პირებს სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოუხდათ დაზარალებულთან, რის შემდეგაც ბრალდებულმა ამ უკანასკნელს მოკვლის მიზნით განზრახ დააჯახა ავტომანქანა, რა დროსაც ასევე საფრთხე შეუქმნა იქვე მყოფი სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, – წერია უწყების განცხადებაში. დაზარალებული 35 წლამდე ასაკის კაცი გურჯაანის კლინიკაში გარდაიცვალა.

ავაშენოთ თბილისში რუსთაველის სახლი

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ხელით ნაწერი სტრიქონები

„მამის ძმა და მამაჩემი პაპაჩემმან გაყვნა ოდეს,
ზღვასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს.“

მკარნახობს აღვნიშნო, სახლი, რომელიც წარმოდგენილია ნახატზე სიმბოლურად, ტრადიციული ადათ-წესების გათვალისწინებით, შოთას პაპას შვილებისთვის თავად გაუყვია – შოთას მამისთვის და მისივე ძმისთვის, ე. ი. ძმები ძმურად გაუყრია.



დაბეჯითებით უნდა ვივარაუდოთ, რომ, როგორც თითქმის ყველა მოსახლე გაყრის შემდეგ ცალკე აშენებს სახლს, შოთას მამაც ასე მოიქცეოდა და თავისთვის ააშენებდა, მაგალითად, მე-2 ნახატზე პირობითად ნაჩვენებ ოდას, მით უმეტეს, ამ სტრიქონების არსიდან გამომდინარე, რუსთაველი რომ ადასტურებს მამის რაინდობას.

„მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა, ვიშისა,
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა.“

ძნელია იმის თქმა, პაპის აშენებულ სახლში დაირწა რუსთაველის აკვანი თუ მამის აშენებულ ოდაში, მაგრამ ფაქტია, დაირწა ოქროს აკვანი რუსთაველების ოჯახში, თანაც ისეთი წკრიალა ხმით, რომ **აკვნიდანაც კი მუსიკად ისმოდა მისი ჟივილი.**

გამომდინარე აღნიშნულიდან, შემოვდივარ ინიციატივით – მივმართოთ მერიას და ავაშენოთ ნახატზე ნაჩვენები რუსთაველის სახლი, რომლის მსგავს სახლ-კარში, ეზო-ყურეში ფეხი აიდგა სახელოვანმა მგოსანმა, მით უმეტეს, ქვეყნის ხაზინას დიდი არანაირი ხარჯი არ მოუვა, რადგანაც, ეს იდეა **რომ გავაცანი 100-ზე მეტ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თავად გამოთქვეს სახლის აშენებაში მონაწილეობის სურვილი – უანგაროდ პროექტის გაკეთებასა და ფიზიკურ მუშაობაშიც, სახელმწიფომ საჭიროა მხოლოდ გამოყოს მიწა და გაიღოს მასალის ხარჯები.**

ურიგო არ იქნება, თუ ვიმსჯელებთ და იქვე ავაშენებდით რუსთაველის სახელობის სპეციალურ სკოლას მე-7-მე-8

კლასის ზევით პოეზიითა და ფილოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის.

დავტკბეთ არა მარტო რუსთაველის სახლით, მოხატული კედლებით, ამოჩუქურთმებული აფორიზმებით (თუ როგორ, წარმოგიდგენთ მაკეტს), არამედ იქვე, სახლის წინ, უნიკალური, ულამაზესი ბაღჩით, რუსთაველს რომ მოეწონა.

„ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა,
ფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა.“

ნაირ-ნაირი ყვავილებით, სილამაზით, **ედემის ბაღით**, და როგორც უკვდავი მგოსანი ისურვებდა,

„სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები,
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინა მტერები“.

ასევე საფრენი აპარატებით და მესხურ ეზო-ყურეში დასვენებასა და გართობასთან ერთად მას ექნება **შემეცნებითი დანიშნულება, ახალგაზრდობისთვის საღი აზრების უკეთ გაღვივების მიმართულება,** ისეთივე, თავის გენიალურ პოემაში შოთა სასიხარულოდ რომ ნატრულობს.

„მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

ვფიქრობ, მე-12 საუკუნეში ალბათ საქართველოში ვერავინ წარმოიდგენდა რუსთაველის გარდა, რომ შეიქმნებოდა „ლითონის ჩიტი“. შოთას გონება ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სხვა გენიოსებთან ერთად რუსთაველმაც დიდი ხნით ადრე განსაზღვრა გრანდიოზული მნიშვნელობის მოვლენა. **და სამართლიანად მიმაჩნია ისიც, რომ თბილისის აეროპორტი დღეს ატარებს შოთა რუსთაველი სახელს.**

გენიალურმა პოეტმა რომ 7 საუკუნით ადრე განსაზღვრა საფრენი აპარატები, **ბრწყინვალედ ადასტურებს თავად 850 წლის დაუჭკნობელი მგოსანიც „წუთისოფლის წიგნში“.**

აი, ასრულდა წადილი, „ლითონის ჩიტით“ ვიფრინე,
გავინავარდე ზეცაში, ძალმომეტებით ვილხინე,
ჩემს ხელით ტურფად დაწნული რითმები ცაში მოვფინე,
ვარსკვლავთან მიახლოებით ქართველი მეტად ვაბრწყინე.

უფრო კარგი კი ისიც იქნებოდა, რომ იქვე, აეროპორტის ცენტრალური შესასვლელის თავზე, სადაც აწერია „შოთა რუსთაველის სახელობის აეროპორტი“, როგორც შევთავაზე თბილისის მერიას, ეწეროს შოთას სიტყვებიც

„ღმერთმა ქმნას შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული“.

იმ მიზნით, რომ უცხოეთში სასწავლებლად, სამუშაოდ, სამეცნიერო, საგამომგონებლო ღონისძიებებში, სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრებული ახალგაზრდები თავიანთმა გამცილებლებმა მშობლებმა დალოცონ რუსთაველის სიტყვებით და სამშობლოში დაბრუნდნენ ისეთივე გამარჯვებულები, ოქროს მედლით დამშვენებულები, როგორც 1973 წელს არა მარტო საჭიდაო ხალიჩიდან, არამედ ირანის შაჰთან ვაჟკაცური გადაწყვეტილებით გამარჯვებული დაბრუნდა სახელოვანი თედიაშვილი ლევანი.

აი ასეთი ქმედებით, იდეებით, ოქროს მედლებით, გამოგონებების წყალობით შეგვლებთ გადავაქციოთ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა მძლავრ განვითარებულ სახელმწიფოდ. მსოფლიოს ჭკვიანი ხალხის მიერ 21-ე საუკუნის იდეების საუკუნედ გამოცხადებაც ამ მიზანს ემსახურება – რადგან იდეები და გამოგონებები განვითარების საფუძველთა საფუძველია.

პატივცემულო მკითხველო, თუ მიიჩნევთ, რომ ზემოაღნიშნული რუსთველური ფრაზის დედააზრი უცხოეთში გამგზავრებულებს (ყველას თუ არა), უმეტესობას მაინც გონებაში ჩინებულად ჩაებეჭდება სამშობლოს საკეთილდღეოდ, აეროპორტის შესასვლელი დავამშვენოთ შოთას სიტყვებითაც.

„ღმერთმა ქმნას შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული“.

თუ დამეთანხმებით იმაშიც, რომ პოეზიის ქვეყანაში უნდა გვქონდეს პოეზიის მწყემსის სახლი და სკოლა, მივმართოთ ხელისუფლებას აღნიშნული სახალხო საკითხების სახვალიოდ განსახორციელებლად.

თამაზ ქვლივიძე
ტელ.: 599-10-43-18

ომი უკვე რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა

უკრაინული არმიის სარდალი გენერალი ზალუჟნი რუსული აგრესიის პირველი დღეებიდანვე აცხადებდა, რომ აუცილებელია რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმების განხორციელება. ამის წინააღმდეგ გამოვიდა პრეზიდენტ ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელი ერმაკი. ის თვლიდა, რომ რუსეთის ტერიტორიის დაბომბვა უკრაინას კარგს არაფერს მოუტანს.

– ამით დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის მხარდაჭერას დავკარგავთ! ამას გარდა, რუსეთი მთელს უკრაინას დაადუღებს! – ამტკიცებდა ერმაკი.

ამ არგუმენტმა გაჭრა. უკრაინა თავს იკავებდა რუსეთის ტერიტორიის დაბომბვისაგან.

მოსკოვში უმალ აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას. კიევსჩინის, ხარკოვსჩინის და განსაკუთრებით ხერსონის დატოვების შემდეგ რუსეთმა უკრაინის ტოტალური დაბომბვა დაიწყო. ოკუპანტები მიზანმიმართულად ანადგურებდნენ კრიტიკულ ინფრასტრუქტურას. მათ მიწასთან გაასწორეს უამრავი თბოელექტროსადგური, საცხოვრებელი სახლი თუ პურის ქარხანა. ერმაკის არგუმენტები ამაო გამოდგა. რუსებმა უკრაინის დადუღება მაინც დაიწყეს.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა ზელენსკიმ გენერალ ზალუჟნის დაუჭირა მხარი. უკრაინის უკანასკნელი დაბომბვების პასუხად დაიწყო დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზე.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა სარატოვის სამხედრო აეროდრომზე დარტყმის შესახებ. იქ განადგურდა ორი სამხედრო თვითმფრინავი, დაიღუპა ოთხი რუსი სამხედრო. ეს თავდასხმა ერთადერთი არ ყოფილა. სარატოვის პარალელურად განხორციელდა დარტყმა რიაზანის აეროდრომზე. აქ რუსებმა უფრო დიდი ზარალი იწვნიეს. განადგურდა 9 თვითმფრინავი, დაიღუპა 11 რუსი სამხედრო.

დივერსიების სერია გრძელდებოდა. კრასნოიარსკის ცენტრში მოხდა აფეთქება, შედეგად განადგურდა სავაჭრო ცენტრი. პარალელურად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები კურსკისა და ბელგოროდის ოლქებზე. კურსკში ნავთობბაზა აფეთქდა, განადგურებულია ოკუპანტების რამდენიმე ყაზარმა და სამხედრო ტექნიკა.

უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქტიურად მოქმედებენ პარტიზანები. ლუგანსკში აფეთქდა სამხედრო მატარებელი. დაიღუპა 12 რუსი სამხედრო. აფეთქება მოხდა ოკუპირებული შახტარსკის ცენტრშიც, თუმცა იქ მსხვერპლი არ არის.

დონეცკის ცენტრში მომხდარი აფეთქების შედეგად დაინგრა სახლები, გაჩნდა ხანძარი. თავის სახლში ცოცხლად დაიწვა ე.წ. „მოსამართლე“ ისაევი. მან სახელი გაითქვა უკრაინელი პატრიოტებისათვის სასიკვდილო განაჩენების გამოტანით. სისასტიკის გამო ისაევს ნაცისტ მოსამართლე ფუნკეს ადარებდნენ.

ამრიგად, უკრაინის ტერიტორიის ტოტალურ დაბომბვას საკადრისი პასუხი პირველად გაეცა. მომავალში ასეთი შურისგების აქტები ალბათ უფრო ფართო ხასიათს მიიღებენ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებების მიზანშეწონილობის გამო ეჭვი გამოთქვა. მიზეზი მარტივია, რუსეთს ჭეშმარიტი მშვიდობა არ სურს.

– პუტინი მხოლოდ დროებითი ზავისაკენ მიისწრაფვის. მას სურს მოიგოს დრო, მოიკრიფოს ძალები, შემდეგ კი ახალ შეტევაზე გადავიდეს, – თქვა ბლინკენმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ კრემლი ოკუპირებული უკრაინული ტერიტორიების შენარჩუნებას ლამობს. უწინარეს ყოვლისა ესაა ყირიმი, აგრეთვე დონბასი, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქები.

– როცა რუსეთი ყველა მიტაცებულ ტერიტორიას დააბრუნებს და უკრაინიდან ჯარს გაიყვანს, შეიძლება იმისი თქმა, რომ მას მართლაც მშვიდობა სურს, – თქვა ბლინკენმა.

აშშ: „უკრაინას კვლავაც მიეწოდება იარაღი“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ აშშ-ს ყველა საშუალება გააჩნია იმისათვის, რომ უკრაინას სრულფასოვანი დახმარება განაგრძოს.

– უკრაინას კვლავაც მიეწოდება იარაღი, გაეწევა აუცილებელი პოლიტიკური თუ ფინანსური დახმარება, – ამბობს სახელმწიფო მდივნის მოადგილე შერმანი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა თავის მხრივ განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ უკრაინისათვის იარაღის მიწოდება უკანონობაა.

– ეს რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიაა, – ამბობს ლავროვი.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსულმა მხარემ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა მოითხოვა. განხილვის თემა უკრაინისათვის იარაღის მიწოდება იქნება. სხდომა 9 დეკემბერს ჩატარდება.

საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორი რუსების სამსახურში



საერთაშორისო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა ქერიმ ხანმა უკრაინაში სამხედრო დანაშაულის გამო სპეციალური ტრიბუნალის შექმნის იდეა დაგმო. როგორც ცნობილია, ამ იდეას მხარს უჭერდა ევროკომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაიენი. ის მთავარ დამნაშავეებად ვლადიმერ პუტინს და სხვა რუს მაღალჩინოსნებს აცხადებდა და მათ გასამართლებას ითხოვდა

– მსგავსი იდეები კიდევ უფრო ძაბავენ საერთაშორისო ურთიერთობებს, რომლებიც უკვე ისედაც ზღვარზეა, – ამბობს ქერიმ ხანი.

ამ საბაბით ის მზადაა რუსების დანაშაულზე თვალი დახუჭოს.

ყველაზე სასტიკი ბრძოლები კვლავაც დონბასშია

უკრაინამ შეიარაღებული ძალების შექმნის დღე აღნიშნა. რუსები შეეცადნენ, ეს თარიღი თავისებურად „აღენიშნათ.“ ყველაზე სასტიკი ბრძოლები კვლავაც დონბასში გაიმართა.

თანახმად ინგლისის დაზვერვის ცნობისა, რუსი ოკუპანტები კვლავ შეეცადნენ გაერღვიათ უკრაინელთა დაცვის ხაზი ბახმუტთან და ავდეევკასთან. ეს ჩაიშალა. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, რუსებმა ბახმუტთან წინ ვერ წაიწიეს. მიზეზი უკრაინული არმიის წინააღმდეგობაა. რუსებმა სცადეს ლიმანის მიმართულებით შეტევები განეხორციელებინათ. მტერმა აქაც მარცხი იწვნია.

– რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ლიმანის მიმართულებით რაღაც დასახლებული პუნქტების დაკავების თაობაზე, სრული სიცრუეა, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

ასევე წარუმატებელი გამოდგა ოკუპანტების მცდელობა განეხორციელებინათ კონტრშეტევა სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. უკრაინელებმა იერიში მოიგერიეს.

რაც შეეხება მდგომარეობას სამხრეთში, ის არ შეცვლილა. უკრაინელები პოზიციებს კვლავაც ინარჩუნებენ. ამავე დროს უკრაინელმა პარტიზანებმა განახორციელეს დივერსიული აქტები ოკუპირებულ მელიტოპოლში. შედეგად ლიკვიდირებულ იქნა მოღალატე დეპუტატი, რომელიც ოკუპანტების მხარეს გადავიდა.

პასუხად რუსებმა განახორციელეს დარტყმები ზაპოროჟიეზე, ხერსონზე, ნიკოპოლზე და ა.შ. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ქალი კინაღამ ლატარიაში მოგებული თანხის გარეშე დარჩა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა შრიჯანა ვოსტიმ ლატარიის გათამაშებაში 50 ათასი დოლარი მოიგო და კინაღამ მომგებიანი ბილეთის გარეშე დარჩა.

ქალმა მომგებიანი ლატარიის ბილეთი მიმდინარე წლის ივნისში ხუთ დოლარად შეიძინა და მალევე შეიტყო, რომ მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა.

– ბილეთს ისევ და ისევ ვამოწმებდი. თავს უზომოდ ბედნიერად ვგრძნობდი, – იხსენებს ამერიკელი ქალი.

ვოსტიმ ეს სასიხარულო ახალი ამბავი ოჯახის წევრებს აცნობა და ბილეთი „საიმედო ადგილას“ შეინახა. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ფულადი მოგების მიღების დრო მოვიდა, ქალი მიხვდა, რომ დაავიწყდა, თუ სად შეინახა მომგებიანი ბილეთი. იმის შიშით, რომ მოგების მიღების თარიღისთვის შესაძლოა ბილეთი ვერ ეპოვა, ქალმა მის მოსაძებნად თითქმის მთელი სახლი გადაატრიალა და, ბოლოს და ბოლოს, მას ჩანთაში მიაგნო.

– უდიდესი შვება ვიგრძენი, როდესაც ბილეთი ვიპოვე და მივხვდი, რომ არ დამიგვიანია, – განაცხადა ქალმა.

ყოფილ სახლში დაბრუნებულ მამაკაცს გალიაში ჩასმული შიშველი ქალი დახვდა

ამერიკის ჯორჯიის შტატში უცნობმა პირებმა ქალს სცემეს და შემდეგ ძაღლის გალიაში დაამწყვდიეს.

გალია, რომელიც მის ყოფილ მობილურ სახლში იდგა, ყოფილმა მცხოვრებმა აღმოაჩინა, რომელიც იქ თავისი ნივთების წასაღებად იყო მისული. სრულიად შიშველი ქალი ფეკალიებით დაბინძურებულ გალიაში იჯდა. მამაკაცმა, რომელიც იქვე იმყოფებოდა, განაცხადა, რომ ქალი სექსმონად მის მიერ ჩადენილი ქურდობის გამო აქცია. მან ასევე განაცხადა, რომ მასთან რამდენიმე მამაკაცი უნდა მისულიყო, რომლებიც ქალის გაუპატიურებას აპირებდნენ.

მას შემდეგ, რაც ეს ყოველივე სახლის ყოფილმა პატრონმა მოისმინა, პოლიციაში დარეკა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა სახლს ალყა შემოარტყეს, შიგნით შევიდნენ და სრულიად ღონემიხდილი ქალი აღმოაჩინეს, რომელსაც სახეზე ცემის კვალი ეტყობოდა. დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

შედეგად პოლიციამ ხუთი პირი დააპატიმრა. მათ გატაცების, მართლსაწინააღმდეგოდ თავისუფლების აღკვეთის, დამამძიმებელ გარემოებაში თავდასხმისა და დანაშაულის ჩადენის დროს იარაღის უკანონოდ ფლობის ბრალდება წარედგინათ.

პაპის დანატოვარმა ვისკიმ ქალი გააბედნიერა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ქალბატონმა შემფასებელს აჩვენა სამი ბოთლი ვისკი, რომლებიც ადრე მის პაპას ეკუთვნოდა და შეიტყო, რომ მათი გაყიდვა გაამდიდრებდა.

ქალმა მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო პროგრამაში, რომელიც ანტიკვარიატს შეეხებოდა. მას აინტერესებდა იმ სამი ბოთლი ვისკის ფასი, რომლებიც მისმა პაპამ 1950-იან წლებში საჩუქრად მიიღო პაბის მფლობელისგან. მოგვიანებით ეს ბოთლები მას მემკვიდრეობით ერგო და სახლის სხვენში დაახლოებით 50 წელი ინახებოდა.

ვისკის ბოთლები შემფასებელმა ჯონ ფოსტერმა ნახა და განაცხადა, რომ ორი მათგანი 1930-40-იანი წლებით თარიღდებოდა, ხოლო ერთი, დიდი ალბათობით, 1907-08 წლებშია ჩამოსხმული.

– იმ დროს ყველა დახვწილი ღვინით იყო გატაცებული, ხოლო ვისკი სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენდა, – განაცხადა ფოსტერმა.

მან სამი ბოთლი ვისკი 15 ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასა. ამან ქალი გააკვირვა და განაცხადა, რომ პაპა იამაყებდა, მისი ვისკის ფასი რომ შეეტყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცაზოგადოება

მომღერალი სოფო საქინიანი საქართველოდან წავიდა

მუსიკალური შოუების „იქს ფაქტორისა“ და „ახალი ხმის“ მონაწილე სოფო საყინიანი საქართველოდან წავიდა. ეს სიახლე გულშემატკივრებს მან სოციალური ქსელის საშუალებით გაუზიარა. როგორც მომღერალი ამბობს, ამ გადაწყვეტილებამდე ბევრი ფაქტორის გამო მივიდა:

– მეოთხე კვირა დაიწყო, რაც საქართველო დავტოვე. არ ვიცი, სწორია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გადაწყვეტილებამდე ბევრი ფაქტორის გამო მივედი. პირველ რიგში იმის გამო, რომ ბრიტანეთში საყვარელ ადამიანთან ერთად ვყოფილიყავი, მერე კიდევ დეტალებში რომ არ ვთქვა, თქვენც კარგად იცით რა და როგორ.

არ ვიცი, როდის დავბრუნდები და როდის ვიტყვი, რომ საქართველოში ღირს ცხოვრება. გული მწყდება, რომ დღეს არჩევანის წინაშე დგება ბევრი ადამიანი და ტოვებს სამშობლოს, ოჯახს, მეგობრებს, ყველაფერს, რაც კი მათთვის ოდესმე ღირებული ყოფილა და იწყებს ცხოვრებას ნულიდან□სხვა ქვეყანაში, სხვა გარემოში, სხვა ხალხში, რაც არაა მარტივი. უკვე ძალიან მენატრება ყველაფერი, სუნი, მიწა, წყალი. ჩემი სტუდია, ბავშვები, რაშიც უდიდესი შრომა ჩავდე და თითქმის ყოველდღე მომდის მესიჯები მშობლებისგან, რომ ვენატრები და ვაკლივარ მათ შვილებს. ძალიან მაკლია ოჯახი, სახლი, ჩემი მეგობრები, ყველა ის ადამიანი, ვინც ჩემთან ერთად შემოქმედებით პროცესში იყო ჩართული□– ეს იყო კონცერტი, თუ პატარა ივენთი, რასაც ერთად ვაკეთებდით. უბედნიერესი ვიყავი იმით, რასაც ვაკეთებდი, გარდა იმისა, რომ სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ჩემი მოწოდება ვიპოვე, როცა ბავშვებთან მუშაობა დავიწყე.

მიუხედავად იმისა, რომ იურისტი ვარ, არასოდეს მომწონდა ეს პროფესია. მიხარია, რომ ჩემი მოწოდება, ჩემს სამშობლოში აღმოვაჩინე და არა სხვაგან. ძალიან მინდა, დიდი იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში და გამოვადგები ჩემს სამშობლოს, გახდეს უკეთესი ქვეყანა და სულ სხვანაირი ცოდნითა და შემართებით ვიზამ ამას. იმედია გამომივა და კიდევ ბევრჯერ იამაყებთ ჩემით ის ადამიანები, ვისაც ჩემი წინსვლა გახარებთ. ვიფიქრე, არ არის თქო საჭირო მსგავსი პოსტები, მაგრამ ვთვლი, ჩემი სოც. სივრცე ბევრი რამის სხვანაირად აღქმასა და ანალიზში დამეხმარება. საკმაოდ შორს ვარ, მინდა ასეთი ფორმით მაინც მქონდეს კონტაქტი თქვენთან. მიყვარხართ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ალ ხელაიფი: „არ მოგწონთ ჩემპიონთა ლიგა? ნუ ითამაშებთ“

პსჟ-ის პრეზიდენტმა ნასერ ალ-ხელაიფმა თქვა, რომ სუპერლიგის გუნდებს შეუძლიათ ჩემპიონთა ლიგაზე არ იასპარეზონ.

– არ მოგწონთ ჩემპიონთა ლიგა ისეთი, როგორიც არის? მაშინ ნუ ითამაშებთ ამ ტურნირზე და უბრალოდ თქვენს ეროვნულ პირველობებზე მიიღეთ მონაწილეობა.

მე თუ რამე არ მომწონს, ამას არ ვაკეთებ. ყველაფერი მარტივია, – განუცხადა ალ-ხელაიფიმ Sky Sports-ს.

ვან დეიკი: „მესი ჩვენი შეტევებისას სადღაც მოედნის კუთხეში იუქმებს“

9 დეკემბერს, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში, ერთმანეთს ნიდერლანდებისა და არგენტინის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. მომავალი მატჩის წინ „დეილი მეილთან“ კომენტარი ნიდერლანდელთა მცველმა ვირგილ ვან დეიკმა გააკეთა:

– მესი ჩვენი შეტევებისას სადღაც მოედნის კუთხეში იუქმებს. ეს მის წინააღმდეგ თამაშისას ყველაზე რთულია.

დაცვის ორგანიზაციის მხრივ ძალიან ზუსტად მოქმედება გვჭირდება. პარტნიორები კონტრშეტევის წამოსაწყებად მას მუდმივად ეძებენ.

კროოსით „იუვენტუსი“ დაინტერესდა

El Nacional-ის ცნობით, ტონი კროოსით „იუვენტუსი“ ინტერესდება.

წყაროს თანახმად, 32 წლის ფეხბურთელს „რეალთან“ კონტრაქტი 2023 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს, „სამეფო გუნდთან“ კი ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ გეგმავს. გერმანელ ნახევარმცველს შეთავაზება „მანჩესტერ სიტიდან“ და მიუნხენის „ბაიერნიდან“ უკვე ჰქონდა, თუმცა უარით გაისტუმრა.

შეგახსენებთ, კროოსი „ბლანკოსში“ „ბაიერნიდან“ გადავიდა, ამ სეზონში 11 შეხვედრა გამართა და თავი 1 გოლითა და 2 ასისტით გამოიჩინა.

ედენ აზარმა სანაკრებო კარიერა დაასრულა



31 წლის ასაკში მადრიდის „რეალის“ ცნობილმა ვარსკვლავმა ედენ აზარმა სანაკრებო კარიერა დაასრულა.

ამის შესახებ ინფორმაცია ბელგიის საფეხბურთო ასოციაციამ გაავრცელა და კაპიტანს მომავალში წარმატებები უსურვა.

აზარი ბელგიის ნაკრებში 2008 წლიდან მოყოლებული ასპარეზობდა. ის 2018 წელს მუნდიალზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, 2022 წელს კი ჯგუფიდან ვერ გავიდა.

ჯალეიდოსკოპი

მამაკაცმა საკუთარი სახლის შესასვლელში მძინარე დათვი აღმოაჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ჰიტროუს დასახლებაში მამაკაცმა აღმოაჩინა დათვი, რომელსაც მისი სახლის შესასვლელ კართან ეძინა.

ჩაკ რობინსმა შეიტყო, რომ მისი სახლის მახლობლად დათვი დაძრწოდა. ამერიკელი ქუჩაში გამოვიდა, რათა გარეული ცხოველი ენახა და მისთვის სურათი გადაეღო, თუმცა ვერსად გადააწყდა და სახლში დაბრუნდა. მოგვიანებით მამაკაცს მეზობელმა დაურეკა და უთხრა, რომ დათვი მისი სახლის ეზოში იმყოფებოდა.

რობინსმა ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, რომ მოზრდილი დათვი მისი სახლის კარის წინ იწვა და ეძინა.

– ეს საოცრება იყო. უბრალოდ, გარეთ გამოვედი და მძინარე ცხოველი პირდაპირ ჩემი კარის წინ იწვა, – განაცხადა რობინსმა.

წყვილმა ქუჩაში კონვერტი იპოვა მსხვილი თანხით და პატრონს დაუბრუნა

შვეიცარიის მარტინის კომუნაში წყვილმა ქუჩაში დაკარგული კონვერტი იპოვა, რომელშიც სოლიდური თანხა იდო და პატრონს დაუბრუნა.

ხნიერმა მამაკაცმა ბანკიდან 20 ათასი შვეიცარიული ფრანკი გამოიტანა. მალე აღმოაჩინა, რომ ფულით სავსე კონვერტი ჯიბეში აღარ ედო და იფიქრა, რომ ჯიბის ქურდების მსხვერპლი გახდა.

კონვერტი ქუჩაში წყვილმა იპოვა. ქვითარზე, რომელიც ასევე კონვერტში იდო, მითითებული იყო მამაკაცის მისამართი და მათ ამის წყალობით მოახერხეს ფულის პატრონის პოვნა.

მამაკაცმა წყვილს ჯილდოს სახით 500 ფრანკი გადასცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

„ხვიჩა ბრაზილიელი ან არგენტინელი უნდა იყოს...“

„ნაპოლის“ ყოფილმა ფეხბურთელმა დარიო მარკოლინიმ Radio Marte-ს ეთერში იმ ვარსკვლავების შესახებ ისაუბრა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ასპარეზობენ.

რა თქმა უნდა, სიაში მოხვდა „პარტენოპეის“ ქართველი ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია, რომლის შესახებაც მარკოლინიმ თქვა:

– სამწუხაროა, რომ კატარში კვარაცხელიას თამაშით ვერ აღვფრთოვანდით. ქართველი დიდი ფეხბურთელია, თუმცა არ ჰყავს ისეთი ნაკრები, რომელიც ამ გზაზე მას კომპანიონობას გაუწევს.

მსგავსი შემთხვევა გვაქვს ჰაალანდზე – დიდი სირცხვილია! ეს ფეხბურთელები ბრაზილიაში ან არგენტინაში უნდა დაბადებულიყვნენ, – ამბობს მარკოლინი.

რონალდომ სათადარიგო ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშზე უარი თქვა

6 დეკემბერს, მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში, პორტუგალიის ნაკრები შვეიცარიას დაუპირისპირდა და 6:1 დაამარცხა.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პირველად, კრიშტიანო სათადარიგოებს შორის მოხვდა, მომხდარმა კი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კამერებმა დააფიქსირეს, რომ რონალდომ პორტუგალიელთა პირველი გატანილი გოლი არ აღნიშნა.

ესპანური გამოცემა Marca-ს ინფორმაციით, შვეიცარიასთან გამართული შეხვედრის შემდეგ, მეორე დღეს, ფერნანდო სანტოშმა ის ფეხბურთელები ავარჯიშა, რომლებიც გუშინ სათადარიგოთა სკამზე მოხვდნენ. წყაროს ცნობით, ამ ვარჯიშზე 5-გზის „ოქროს ბურთის“ მფლობელი არ იმყოფებოდა.

ცნობილია, რომ რონალდო თავს კარგად გრძნობს და ტრავმა არ აწუხებს. რატომ არ

იღებდა მონაწილეობას „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფეხბურთელი სავარჯიშო პროცესში, ჯერჯერობით გაურკვეველია.

მამარდაშვილი ლა ლიგაში პირველია

Wyscout-ის ინფორმაციით, რომელიც საფეხბურთო სტატისტიკას აწარმოებს, 2022/23 წლების სეზონში ლა ლიგის ყველა ფეხბურთელს შორის ყველაზე მეტი დრო მოედანზე გიორგი მამარდაშვილმა დაჰყო.

ქართველმა 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ამ ყველაფერმა კი ჯამში, დამატებითი დროის ჩათვლით, 1.410 წუთი შეადგინა.

ჩვენებურმა 3 შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა, სეივის პროცენტი კი 71,7%-ს შეადგენს.

აქვე გეტყვით, რომ მამარდაშვილის „ვალენსია“ ლა ლიგას 31 დეკემბერს „ვილიარეალთან“ საგარეო მატჩით განაახლებს.

ჯალეიდოსკოპი

მოშინაურებულმა დათვმა პატრონი დაგლიჯა

იაპონიის ნაგანოს პრეფექტურის ქალაქ მაცუმოტოში მოშინაურებული დათვი თავს დაესხა მასთან ვოლიერში შესულ პატრონს და დაგლიჯა.

2004 წელს აკირა მარუიამამ, რომელიც ამჟამად 75 წლისაა, დათვის სახლში ყოლის უფლება მიიღო. ჰიმალაიური ჯიშის დათვი ვოლიერში ბინადრობდა, რომელიც იაპონელის სახლის ტერიტორიაზე იდგა.

ცხოველის თავდასხმის შემდეგ მამაკაცი ოჯახის წევრებმა გალიაში უგონო მდგომარეობაში ნახეს. მას მთელ სხეულზე ნაკბენები აღენიშნებოდა. დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ექიმებმა მისი სიკვდილის ფაქტი დაადასტურეს. მოგვიანებით დათვს მონადირეთა ასოციაციის წევრებმა მიაგნეს და მოკლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ფრანგული ავტომობილი; 2. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 3. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 4. მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართველი პაროდისტი, ქართული „მინიატურების თეატრის“ ფუძემდებელი; 6. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 7. ალუმინის შემცველი მადანი; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. საბრძოლო იარაღის საწყობის, არსენალის ძველებური სახელწოდება; 13. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 16. ოქროს მომპოვებელი ფირმა საქართველოში; 18. ტაძარი ქუთაისში; 19. მდინარე ზუგდიდში; 21. გარეული ცხოველი; 24. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. ყოველკვირეული გაზეთი პორტუგალიაში; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 14. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 15. ამერიკული სიგარეტი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. ქართული მონასტერი ტაო-კლარჯეთში; 25. ჩაკეტილი მრუდი მათემატიკაში; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. „შუშანიკის წამების“ ავტორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაწარა; 2. ევრო; 3. დეგაზაცია; 4. ბზობა; 5. შამგონა; 8. ვეზუვი; 9. ჩაკვეტაძე; 12. გელათი; 14. აზდაკი; 16. ოტიტი.

თარაზულად: 1. ბარომეტრი; 6. გეოდეზია; 7. წაღვერი; 9. ჩაჟაში; 10. ბაშო; 11. კუბრიკი; 13. ფრაზა; 15. ვერიკო; 17. მარაბდა; 18. ღადარი; 19. ტრაკაი; 20. სიმეონე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შუმი; 2. ერი; 3. კარაბინი; 4. ჯო; 5. გლიპტიკა; 6. ქაჯი; 7. წრქოლი; 10. გენი; 11. მონუმენტი; 12. ტანგენსი; 13. შოთი; 16. სოკერი; 18. ბოიკოტი; 19. შტორმი; 21. სეული; 24. ტუნგი.

თარაზულად: 1. შევროლე; 3. კოტეჯი; 8. ალმასი; 9. მაგო; 14. გნომა; 15. მონეტა; 17. ნოტი; 20. ნამუსი; 22. კროლი; 23. ტრესტი; 25. სკა; 26. ერბო; 27. იკაო; 28. ნოსტალგია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6902

ევრო — 2.8239

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2740

100 რუსული რუბლი — 4.2640

ამინდის პროგნოზი 8 დეკემბრისათვის

ლუის ენრიკე: „მარცხზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“

ესპანეთის ნაკრები მაროკოსთან დამარცხდა პენალტების სერიაში და მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა. ესპანელები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მაროკო თავს კარგად იცავდა. მატჩის შემდეგ ლუის ენრიკემ თქვა, რომ ესპანეთის გამოვარდნაზე პასუხისმგებლობას მთლიანად თვითონ იღებს: „სამწუხაროა, რომ ასე დავასრულეთ და პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ. არ ვიცი, დავრჩები თუ არა ესპანეთის ნაკრებში. გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებ“.

ნაპოლი კვარაცხელიას გაყიდვას არ აპირებს

ნაპოლი ხვიჩა კვარაცხელიას გაყიდვას არ აპირებს და შესაძლოა მასთან ახალი კონტრაქტი უახლოეს თვეებში გააფორმონ, რომლის მიხედვითაც ხვიჩას ანაზღაურება გაცილებით მაღალი იქნება. კვარაცხელია ამჟამად ნაპოლისთან ერთად თურქეთში იმყოფება, სადაც მისი გუნდი რამდენიმე შეხვედრას გამართავს. ხვიჩამ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და სათამაშოდ მზად არის.

ანჩელოტი: „მსოფლიო ჩემპიონატს რამდენიმე ფავორიტი ჰყავს“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ის მსოფლიოს ჩემპიონატს აქტიურად ადევნებს თვალს და ფიქრობს, რომ ტურნირის მოგება რამდენიმე გუნდს შეუძლია: „საფრანგეთს და ბრაზილიას ყველაზე მეტი შანსი აქვთ, თუმცა ინგლისი და არგენტინაც არ უნდა დაგვიწყდეს. ზუსტად შეუძლებელია იმის თქმა, თუ ვინ დარჩება გამარჯვებული“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ექიმი პაციენტს ეუბნება:
– თქვენ წნევა 180/100-ზე გაქვთ. სასწრაფოდ უარი უნდა თქვათ ყავასა და კონიაკზე!
– გავიგე, ექიმო, ე.ი. მხოლოდ ჩაი და არაყი...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– მართალია, რომ გუშინ თეატრში ყოფილხარ?
– ჰო, ვიყავი.
– მერე, რა მოგეწონა?
– სპექტაკლის შემდეგ პალტოებს არიგებდნენ და სამი წამოვიღე!

●●●

ცოლი ჟურნალს კითხულობს და ქმარს ეუბნება:
– აქ წერენ, რომ ყველა მღრღნელი სულელი და ღორმუცელაა.
– მართალია, ჩემო თაგუნია...

●●●

ავადმყოფი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, მკურნალობისთვის ფული აღარ დამრჩა.
– ძალიან კარგია, რომ უკვე გამოჯანმრთელდით.

●●●

პირველკლასელებს მასწავლებელი მიმართავს:
– აბა, ბავშვებო, შეინახეთ თქვენი სმარტფონ-ტელეფონები, შეწყვიტეთ მესიჯების გაგზავნა. დღეს ჩვენ უნდა ვისწავლოთ ასო „ა“.

●●●

კბილის ექიმი:
– ნუ გეშინია, გივი, პირველად ყველაფერი შეიძლება მოხდეს.
– ექიმო, მე გივი არ მქვია.
– ვიცი, გივი მე ვარ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მანანა თოდაძემ და მიშო ჯავახიშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვეს



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მორიგი საკონკურსო ტურიდან 2 მონაწილე გაუშვეს. ვინაიდან წინა ტური ქართულ ცეკვას მიეძღვნა, უკვე ტრადიციაა, რომ ამ ტურში პროექტიდან არავინ მიდის. სამაგიეროდ, მომდევნო საკონკურსო ტურს 2 მონაწილე ემშვიდობება.

მორიგ ეპიზოდში მაყურებლის წინაშე წყვილებმა მესამე მოცეკვავეც დაიმატეს: მანანა თოდაძე, მიშო ჯანიაშვილი და გია ჯაჯანიძე, მიშო ჯავახიშვილი, კარინა ლისენკო და ანა ამილახვარი, ვანესა გუტიერესი, ოთო ფოლადაშვილი და ქრისტინე იმედაძე, ოლგა პოლიაკოვა, მაქსიმ ეჟოვი და გიგა კვენტაძე, ბაბი კირკიტაძე, ერეკლე გირგვლიანი და მარიამ როინიშვილი, ალექსანდრე წივწივაძე, ჯულიანა ბარგნარი და დავით თარგამაძე, თათა გიორგობიანი, რატი გაჩეჩილაძე და რუსკა ქარქაშაძე, ნიკო ნანიტაშვილი, ელენე დავითაია და ანდრია გველესიანი, ნინუცა მაყაშვილი, ირაკლი ძაძამია და რუსკა მაყაშვილი. ცხრავე კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ დაჯამდა ჟიურისა და მაყურებლის ორივე ტურის ქულები და გავარდნის კანდიდატად სამი წყვილი დასახელდა: მანანა თოდაძე და მიშო ჯანიაშვილი, მიშო ჯავახიშვილი და კარინა ლისენკო და ნინუცა მაყაშვილი და ირაკლი ძაძამია. ბოლო 60-წამიანი ხმის მიცემის შემდეგ კი პროექტში ნინუცა მაყაშვილი და ირაკლი ძაძამია დარჩნენ.

ქეთევან კიკნაძე: „მინდა, ზოგიერთი რამ იცოდეს საზოგადოებამ“

მსახიობი ქეთევან კიკნაძე ხელმოწერებს აგროვებდა, რომ ქუთაისში, გიგა ლორთქიფანიძის დედისეულ სახლში რეჟისორის მუზეუმი გახსნილიყო. მსახიობის სურვილი გათვალისწინებული არ იქნა და სახლი სხვას მიაკუთვნეს, რამაც მსახიობის განაწყენება გამოიწვია:

– არის წუთები ყველაფრის აღიარების, ხოდა, მეც მინდა, ზოგიერთი რამ იცოდეს საზოგადოებამ. ამ სახლში მარტო გიგა არ იზრდებოდა, აქ იზრდებოდა მარიკა ლორთქიფანიძე, ევგენი მიქელაძე, დამისახელეთ მსგავსი ადამიანები.

სირცხვილი თქვენი, ამას შეგახსენებთ ხოლმე ხშირ-ხშირად, ვინც თავისი ქვეყნის წარსულს და ისტორიას პატივს არ სცემს, ვერასოდეს წავა წინ, ასე იჩოჩიალებთ მთელი ცხოვრება.

ასევე მინდა საზოგადოებამ იცოდეს – ჩუნეშის ლორთქიფანიძეების სათავადო მიწები გადავეცით საპატრიარქოს, უარი ვთქვით ბათუმის სახლზე, უარი ვთქვით რუსთავში ბინის მიღებაზე, უარი ვთქვით სააგარაკო მიწაზე, თბილისის ერთი ბინა ჩავაბარეთ, ევგენი მიქელაძის როიალი ვაჩუქე მისი სახელობის სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც სიხარულით მიიღეს!

სულ ეს არის ჩემი აღსარება, მადლობა ყურადღებისთვის. სამაგიეროდ, ჩემს ზემოთ მცხოვრების სააბაზანოდან წყალი ჩამომდის, მეუბნებიან, შენ გესხმება და შენ გააკეთეო.

ღმერთო, ჩემი მონაგარი მიმყოფე ჯანმრთელად და ყველას თავისი გზით გაუმარჯოს, ღმერთი მაღალია. იმან განსაჯოს.

ქეთი მელქაძეს უფლისციხეში საქველმოქმედო გალერეის გახსნაზე უარი უთხრეს

ხელოვან ქეთი მელქაძეს უფლისციხის მუზეუმის ტერიტორიაზე საქველმოქმედო გალერეის გახსნა სურდა, მან განცხადებითაც მიმართა შესაბამის უწყებას, თუმცა ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ უარი მიიღო:

– არის! ძლივს! მეგობარმა წიგნი თარგმნა გერმანულად, გამომიგზავნა, რომ წავიკითხო, შევედი იმეილზე და აღმოვაჩინე სააგენტოს „ნაჩალნიკი“ ყმა წვილის (ვიცი, ერთად რომ იწერება) წერილი, 20 ოქტომბერს გამოგზავნილი, უარი ჩემს პროექტზე. აქამდე, თუ რამ უნდოდათ, ფოსტით მიგზავნიდა და იმეილს არც ვნახულობ ხოლმე, არ მაქვს არაფერი საიმეილო და მაგიტომ. მიზეზი, ჩემს ენაზე რომ ვთქვა, საკანცელარიო ენა ნაკლებად მესმის, აურზაური მდომებია უფლისციხეში და აქამდე ვერ ვხვდებოდი. „ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მოხვედრა ერთი შესასვლელით ხორციელდება და საგამოფენო დარბაზში შემსვლელ პირთა და მუზეუმ-ნაკრძალის ვიზიტორთა ნაკადის მართვა შეუძლებელია.“ უსვან ხაზი და იყვნენ.

შემდგომ აბზაცს კი ჩემი გონება ვერ ჩაწვდა: „ამავე პროექტის მიხედვით, საგამოფენო დარბაზში შესასვლელი ბილეთის საფასური, გარდა გამონაკლისებისა, განისაზღვრება 10 ლარით, საიდანაც 50% სააგენტოს წილი იქნება. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს გენერალური დირექტორის 2019 წლის 25 დეკემბრის №02/99 ბრძანებით დადგენილია უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში შესასვლელი ბილეთის საფასური და იგი განისაზღვრება 15 ლარით, შესაბამისად, თქვენ მიერ შემოთავაზებული წინადადებით სააგენტოს მიერ დადგენილი საფასურის უგულებელყოფა ხდება. აღნიშნულის მიუხედავად, თქვენ მიერ წარმოდგენილი გათვლებით, საგამოფენო სივრცეში შესასვლელი ბილეთის საფასურის ნახევრის სააგენტოს შემოსავლებში ასახვით, სააგენტოს შემოსავალი ყოველწლიურად მზარდი იქნება, რაც ბუნდოვანი და ნაკლებად სავარაუდოა.“ ეგეც ვერ გაიგეს, მუზეუმის ბილეთის ფასი 15 ლარია, გალერეის მნახველთა მსურველთათვის ემატებოდა 10 ლარი. არაფერია ახალი, ღვინის გზა არის მუზეუმის ტერიტორიაზე და ეს, უკვე აპრობირებული მეთოდია. მთავარია, რომ ერთი წლის განმავლობაში, 2 მიზეზი იპოვეს! რაც არ გინდათ, ბიძიკო, ღმერთმა ნუ მოგცეთ.

ერთია, არც ძნელი მისახვედრია, რომ თუ ჩემი მეგობარი იმდენს ახერხებს, რომ 400.000 ლარზე მეტი გალერეის მშენებლობას მოახმაროს, რომელსაც ქვეყანას საჩუქრად გადასცემს, როგორმე იმასაც მოახერხებს, საკუთარი გალერეა გახსნას. არა რა, მეგობარიც რომ ჩემი ჭკუის მყავს, ეგეც ჩემსავით სიტყვა „ჩვენს“ ხმარობს სიტყვა „მე“-ს მაგივრად. ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის. უფალო შენით და არა ჩემით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალის მითხოვებაზე უარის მთქმელ ოჯახს სასიძოს მეგობრები გაუსწორდნენ

ინდოეთის კარნატაკას შტატის ქალაქ აპინანგადის პოლიციამ ოთხი პიროვნება თავდასხმის ბრალდებით დააპატიმრა. თავდასხმის მოტივი გახდა ოჯახის უფროსის უარი, ქალიშვილი ერთ-ერთი დამნაშავისთვის მიეთხოვებინა.

პარასკევს, გვიან ღამით, ექვსი პიროვნება შეიჭრა ბეარის ოჯახში. მათი უმრავლესობა ჯოხებით და ქვებით იყო შეიარაღებული. ისინი ოჯახის წევრებს სცემდნენ და ემუქრებოდნენ. როდესაც ოჯახის უფროსმა უსმან ბეარმა ოჯახის წევრების დაცვა სცადა, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, სახელად ნიზამუდინმა, მას მკერდში დანა ჩაარტყა.

უსმანის 38 წლის მეუღლემ, სახელად ტახირამ, მომხდარის თაობაზე პოლიციას აცნობა. ოჯახზე თავდასხმაში მონაწილეობაში ეჭვმიტანილის სახით სამართალდამცავებმა ოთხი პიროვნება დააპატიმრეს. კიდევ ორი ეჭვმიტანილის ძებნა გრძელდება. უსამა ბეარი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. პოლიციის მონაცემებით, ნიზამუდინმა უსამა ბეარის ქალიშვილზე დაქორწინების სურვილი გამოთქვა, რაზეც უარი მიიღო. არშემდგარი სასიძო ამან გააბრაზა, ბანდა შეკრიბა და შურისძიების მიზნით ოჯახს თავს დაესხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 დეკემბრისათვის

ვერძი – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანცელი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვოსვოხდი ↘



შვეულად: 1. რომის იმპერატორთა ტიტული; 2. მდინარე თბილისში; 3. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 4. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 5. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 8. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 9. ქართველი ნიჩბოსანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; 12. სოფლის პოლიციელი ძველად; 14. მდინარე სვანეთში; 16. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 1. ცნობილი ქართველი მეღვინე; 6. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 7. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. ალპინისტთა, რკინისკბილებიანი, ტერფზე ამოსაკრავი სამაგრი; 10. სპორტული ცეკვების სტუდია თბილისში; 11. საქართველოს ეროვნული გმირი; 13. მომღერალი, პოეტი, მუსიკოსი შუა აზიაში; 15. მძაფრი დაცინვა, გაკიცხვა; 17. შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმი; 18. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 19. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 20. იტალიური რესტორანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა